



# ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA990190468468121

№ 229

29 / აპრილი / 2021 წ.

### მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2021 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის; 61-ე მუხლის მესამე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის; 62-ე მუხლისა და საქართველოს კანონის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ 21-ე მუხლის საფუძველზე

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს ყვარლის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2021 წლის სამოქმედო გეგმა დანართის შესაბამისად.
2. ბრძანების შესახებ ეცნობოს დაინტერესებულ პირებს.
3. ბრძანებით გათვალისწინებული გეგმის შესრულება დაევალოს ყვარლის მუნიციპალიტეტის პირველადი სტრუქტურულ ერთეულის – ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურს, პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, ძეგლთა დაცვის, მშენებლობისა და არქიტექტურის სამსახურსა და პირველადი სტრუქტურულ ერთეულის – საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს ერთობლივად.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია მისი ძალში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ.გურჯაანი სანაპიროს ქ. N24).

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი



ხელმოწერილია/ დადგინდა/ დასრულია/ აღმასრულებლად



როსტომ სესიაშვილი